

შპს „NEKTARI-2008”

ს/კ 231288969

**ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო
წლისათვის**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	31.12.2018	31.12.2017	
აქტივები			
<i>მიმდინარე აქტივები, სულ:</i>	710906	828151	
ფული და ფულის ეკვივალენტები	107153	65392	3,1
სავაჭრო მოთხოვნები	214106	190821	3,2
ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	37546	34488	3,3
მარაგი	309682	450375	3,4
წინასწარ გადახდილი გადასახადები	42141	86797	
სხვა მიმდინარე აქტივები	278	278	
<i>გრძელვადიანი აქტივები, სულ:</i>	430475	426732	
ძირითადი საშუალებები	430161	426304	3,5
არამატერიალური აქტივები	314	428	3,6
სულ აქტივები:	1141381	1254883	
ვალდებულებები და კაპიტალი			
<i>მოკლევადიანი ვალდებულებები, სულ:</i>	135530	217510	
სავაჭრო ვალდებულებები	104020	130898	3,7
საგადასახადო ვალდებულებები	29879	85048	
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1631	1564	3,8
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები, სულ:</i>			
<i>სულ კაპიტალი:</i>	1005851	1037373	3,9
საწესდებო (სააქციო) კაპიტალი	49790	49790	
დაგროვილი მოგება / დაუფარავი ზარალი	956061	987583	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	1141381	1254883	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 25.09.2019 წ.

დირექტორი _____ დავითი დალაქიშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

2018 წლის მოგება-ზარალის ანგარიშგება (საქმიანობის შედეგები)

ერთეული: 1 GEL		შენიშვნა
	საანგარიშგებო პერიოდი	
	2018	
ამონაგები	2243829	
რეალიზებული პროდუქციის / გაწეული მომსახურების თვითღირებულება	-1550664	
სულ საოპერაციო შემოსავლები:	693166	3,10
მიწოდების ხარჯები	-186836	3,11
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-265009	3,12
სხვა საწარმოო დანიშნულების ხარჯები	-35290	3,13
სულ საოპერაციო ხარჯები:	-487135	
ნეტო შემოსავალი ძირით. საშუალ. და არამატ. აქტივების გაყიდვიდან	9176	
დადებითი საკუროსო სხვაობები	1580	
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები	4011	
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	14767	3,14
ზარალი ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გასვლიდან	-18117	
უარყოფითი საკუროსო სხვაობები	-15	
სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები	-5	
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	-18137	3,15
მოგება დაბეგვრამდე:	202661	
მოგების გადასახადის ხარჯი	-7862	
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი	194799	3,16
სულ საანგარიშო პერიოდის სრული შემოსავალი:	194799	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 25.09.2019 წ.

დირექტორი _____ დავითი დალაქიშვილი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

2018 წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	სააქციო / საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილ. მოგება / დაუფარავი ზარალი	კაპიტალი არამაკონტ. წილის გარეშე
ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით	49790	987583	1037373
საადრიცხო პოლიტიკის შეცვლით გამოწვეული კორექტირებები			
შეცდომის გასწორებით გამოწვეული კორექტირებები			
კორექტირების შედეგად გადაანგარიშებული ნაშთები	49790	987583	1037373
საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი		194799	194799
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		194799	194799
განაწილებული დივიდენდები		-226321	-226321
სულ მესაკუთრეებთან განხორციელებული ოპერაციები		-226321	-226321
ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	49790	956061	1005851

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 25.09.2019 წ.

დირექტორი _____ დავითი დალაქიშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი
	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:	
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	2337414
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	-1922121
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	415293
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:	
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	-171114
ძირითადი საშუალებებისა და არამატ. აქტივების გასვლიდან შემოსულობანი	12257
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	-158857
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:	
გადახდილი დივიდენდები	-215000
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	-215000
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	325
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	41761
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	65392
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	107153

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 25.09.2019 წ.

დირექტორი _____ დავითი დალაქიშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

2018 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „NEKTARI-2008“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2008 წლის 15 მაისს თელავის საგადასახადო ინსპექციის მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 231288969, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თელავი, რუსთაველის ქუჩა, N 73. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორი (100%-იანი წილის მფლობელი) არის საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი დავითი დალაქიშვილი (პ.ნ. 20001002685), რომელიც ამავე დროს წარმოადგენს კომპანიის დირექტორს.

1.3. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა უალკოჰოლო სასმელის ლიმონათის წარმოება. სხვა ეკონომიკური საქმიანობაა - პლასტმასის ნაწარმის ერთჯერადი ჭიქების წარმოება.

1.4. კომპანიას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს კომერციულ საქმიანობას მიმდევარი შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.5. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულებების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-

ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის შექმნა, ან დებიტორული დავალიანების უფრო ადრე აღიარება საექვო მოთხოვნად.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს

ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25 წელი;

მანქანა-დანადგარები - 5-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები,

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2018 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6766 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.5922 ლარი;

1 EUR=3.1044 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2018 წელს: 1 USD=2.5345 ლარი;

1 EUR=2.9940 ლარი.

2017 წელს: 1 USD=2.5086 ლარი;

1 EUR=2.8596 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	80585	21101
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	26521	44103
აშშ დოლარი ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	10	152
ევრო ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	24	24
ღირჰაში ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	13	12
სულ:	107153	65392

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

სავაჭრო მოთხოვნები მოიცავს მოთხოვნებს მხოლოდ რეზიდენტი პირების მიმართ.

3.3. გადახდილი ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
რეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	36273	300
არარეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	1174	18042
წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	99	16146
სულ:	37546	34488

3.4. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
გასაყიდი საქონელი	4256	3447
ნედლეული და მასალები	193884	292825
მზა პროდუქცია	65655	94374
საწვავ-საცხები მასალები	26161	49196
სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	19726	10533
სულ:	309682	450375

სხვა მატერიალური ფასეულობები შედგება სარემონტო მასალებისაგან.

3.5. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეო ბით	2018 წელი ზრდა ან შემცირება	2018 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეო ბით	2017 წელი ზრდა ან შემცირება	2017 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 01.01.2017 მდგომარეობით
შენობები	128776		6414	135190		6409	141599
ნაგებობები	26183	4314	1201	23070		1092	24162
დაუდგმელი მოწყობილობა	1000	1000					
მანქანა- დანადგარები	218864	145191	95328	169001	-12469	77659	259129
კომპიუტ. ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	4442	4742	1045	745		373	1118
ინვენტარი	13171	14963	2668	876		705	1581
მსუბუქი ავტომობილები	30079	-34573	15608	80260	22478	22813	80595
იჯარით აღებული ქონების	2403		1211	3614		1211	4825
მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები	5242	4223	12528	13547	15991	18032	15588
სულ:	430161	139860	136003	426304	26000	128293	528597

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2018 წლის ბოლოს - 654 137 ლარი;

2017 წლის ბოლოს - 518 134 ლარი.

3.6. არამატერიალური აქტივები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეო ბით	2018 წელი ზრდა ან შემცირება	2018 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეო ბით	2017 წელი ზრდა ან შემცირება	2017 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 01.01.2017 მდგომარეობით
ლიცენზიები	314		33	347		17	364
პროგრამული უზრუნველყოფა	0		81	81		98	179
სულ:	314	0	114	428	0	115	543

არამატერიალური აქტივების ერთიანი დაგროვილი ამორტიზაციის თანხა შეადგენდა:

2018 წლის ბოლოს - 1082 ლარი;

2017 წლის ბოლოს - 968 ლარი.

3.7. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	104020	128787
დავალიანება არარეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ		2111
სულ:	104020	130898

31.12.2018 წ. მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა კრედიტორული დავალიანება 9 რეზიდენტი მიმწოდებლის წინაშე.

3.8. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები:

სხვა მოკლევადიანი ვალდებულება წარმოადგენს რეზიდენტი პირისაგან მიღებულ ავანსს.

3.9. საკუთარი კაპიტალი:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
წესდებით დადგენილი კაპიტალი	49790	49790
გაუნაწილებელი მოგება	956061	987583
სულ:	1005851	1037373

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეფორმის შესახებ (დაბეგვრის ახალი წესი ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი ფაქტობრივად გაცემის თარიღამდე. 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ეს კანონი ძალაში შევიდა ყველა კომერციული იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები). ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, კომპანიის 2017-2018 წლების მოგება შემცირებულია მოგების გადასახადის მხოლოდ იმ ოდენობით, რაც წარმოიშვა 2018 წელს გაცემული დივიდენდებიდან (მოგების განაწილებიდან).

3.10. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2017-2018 წლებში კომპანიის ნეტო-ამონაგები მთლიანად შედგებოდა უალკოჰოლო სასმელის - ლიმონათის და ერთჯერადი ჭიქების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებისგან. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება დათვლილია საშუალო შეწონილი ფასების მეთოდის გამოყენებით.

3.11. მიწოდების ხარჯები:

	2018 წელი
რეკლამის ხარჯები	100
საკომისიო გასამრჯელო და შრომის ანაზღაურება	87316
ტრანსპორტირების ხარჯები	74030
მივლინების ხარჯები	390
აქციზური მარკების ხარჯი	12598
საღარი აპარატებთან დაკავშირებული ხარჯები	783
დასაწყობების ხარჯი	143
სხვა მიწოდების ხარჯები	275
დისტრიბუციის ტრანსპორტის სარემონტო დანახარჯები	11200
სულ:	186836

3.12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

	2018 წელი
შრომის ანაზღაურება	80800
საიჯარო ქირა	3250
კომუნალური ხარჯი (ადმინისტრაციული)	970
მცირეფასიანი ინვენტარის ხარჯი	509
საკანცელარიო ხარჯი	484
კომპიუტერის ხარჯები	63
ჰოსტინგის მომსახურება	132
პროგრამული მომსახურების ხარჯი	85
კომუნიკაციის ხარჯები	85
დაზღვევა	3925
საწვავის ხარჯები (ადმინისტრაციული)	1482
აუდიტორული და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯები	6000
ცვეთა და ამორტიზაცია	154234
საგადასახადო ხარჯი	4799
საბანკო მომსახურების ხარჯი	1490
მივლინების ხარჯები	780
ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯი (გარდა სატრანსპორტო საშუალებებისა)	2125
სატრანსპორტო საშუალებების საექსპლუატაციო დანახარჯები	199
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	3598
სულ:	265009

3.13. სხვა საწარმოო დანიშნულების ხარჯები:

სხვა საწარმოო დანიშნულების ხარჯები მოიცავს საწარმოო დანიშნულების ხელფასისა და დამხმარე მასალების დანახარჯებს.

3.14. არასაოპერაციო შემოსავლები:

	2018 წელი
არასაოპერაციო მოგება ძს და არ. აქტ. რეალიზაციიდან	9176
დადებითი საკურსო სხვაობები	1580
სხვა არასამეწარმეო შემოსავალი	32
ნაჩუქარი ქონება და გამოვლენილი ზედმეტობა	3979
სულ:	14767

3.15. არასაოპერაციო ხარჯები:

	2018 წელი
არასაოპერაციო ზარალი ძს და არ. აქტ. რეალიზაციიდან	18117
უარყოფითი საკურსო სხვაობები	15
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	5
სულ:	18137

3.16. საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი:

კომპანიის 2018 წლის ფინანსური შედეგი შემცირებულია იმ მოგების გადასახადის ხარჯით, რომელიც წარმოიშვა მოგებიდან დივიდენდების გაცემის შედეგად („ესტონური მოდელის“ შესაბამისად) 2018 წელს.

3.17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2019 წლის 1 იანვრიდან 25 სექტემბრამდე პერიოდში, რამე საყურადღებო მოვლენას კომპანიის საქმიანობაში ან მის გარშემო ადგილი არ ჰქონია.

3.18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 25 სექტემბერს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	31.12.2018	31.12.2017	
აქტივები			
<i>მიმდინარე აქტივები, სულ:</i>	<i>710906</i>	<i>828151</i>	
ფული და ფულის ეკვივალენტები	107153	65392	3,1
სავაჭრო მოთხოვნები	214106	190821	3,2
ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	37546	34488	3,3
მარაგი	309682	450375	3,4
წინასწარ გადახდილი გადასახადები	42141	86797	
სხვა მიმდინარე აქტივები	278	278	
<i>გრძელვადიანი აქტივები, სულ:</i>	<i>430475</i>	<i>426732</i>	
ძირითადი საშუალებები	430161	426304	3,5
არამატერიალური აქტივები	314	428	3,6
სულ აქტივები:	1141381	1254883	
ვალდებულებები და კაპიტალი			
<i>მოკლევადიანი ვალდებულებები, სულ:</i>	<i>135530</i>	<i>217510</i>	
სავაჭრო ვალდებულებები	104020	130898	3,7
საგადასახადო ვალდებულებები	29879	85048	
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1631	1564	3,8
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები, სულ:</i>			
<i>სულ კაპიტალი:</i>	<i>1005851</i>	<i>1037373</i>	3,9
საწესდებო (სააქციო) კაპიტალი	49790	49790	
დაგროვილი მოგება / დაუფარავი ზარალი	956061	987583	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	1141381	1254883	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 25.09.2019 წ.

დირექტორი

დავითი დალაქიშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.



2018 წლის მოგება-ზარალის ანგარიშგება (საქმიანობის შედეგები)

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	შენიშვნა
	2018	
ამონაგები	2243829	
რეალიზებული პროდუქციის / გაწეული მომსახურების თვითღირებულება	-1550664	
სულ საოპერაციო შემოსავლები:	693166	3,10
მიწოდების ხარჯები	-186836	3,11
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-265009	3,12
სხვა საწარმოო დანიშნულების ხარჯები	-35290	3,13
სულ საოპერაციო ხარჯები:	-487135	
ნეტო შემოსავალი ძირით. საშუალ. და არამატ. აქტივების გაყიდვიდან	9176	
დადებითი საკურსო სხვაობები	1580	
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები	4011	
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	14767	3,14
ზარალი ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გასვლიდან	-18117	
უარყოფითი საკურსო სხვაობები	-15	
სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები	-5	
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	-18137	3,15
მოგება დაბეგვრამდე:	202661	
მოგების გადასახადის ხარჯი	-7862	
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი	194799	3,16
სულ საანგარიშო პერიოდის სრული შემოსავალი:	194799	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 25.09.2019 წ.

დირექტორი

დავითი დალაქიშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.




2018 წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	სააქციო / საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილ. მოგება / დაუფარავი ზარალი	კაპიტალი არამაკონტ. წილის გარეშე
ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით	49790	987583	1037373
საადრიცხო პოლიტიკის შეცვლით გამოწვეული კორექტირებები			
შეცდომის გასწორებით გამოწვეული კორექტირებები			
კორექტირების შედეგად გადაანგარიშებული ნაშთები	49790	987583	1037373
საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი		194799	194799
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		194799	194799
განაწილებული დივიდენდები		-226321	-226321
სულ მესაკუთრეებთან განხორციელებული ოპერაციები		-226321	-226321
ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	49790	956061	1005851

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 25.09.2019 წ.

დირექტორი  დავითი დალაქიშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნებების წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.



ფულადი ნაკადების ანგარიშგება
(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი
	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:	
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	2337414
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	-1922121
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	415293
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:	
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	-171114
ძირითადი საშუალებებისა და არამატ. აქტივების გასვლიდან შემოსულობანი	12257
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	-158857
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:	
გადახდილი დივიდენდები	-215000
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	-215000
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	325
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	41761
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	65392
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	107153

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 25.09.2019 წ.

დირექტორი

დავითი დალაქიშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

